სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/32

ქ. თბილისი 24 ივლისი 2026

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ფ/პ გიორგი ხარშილაძეს შორის 2026 წლის 17 აპრილს გაფორმებული №01-08-16/08-2026-3 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კარლო კოპალიანის 2026 წლის 23 ივლისს №0000969539 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 24 ივლისის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განახორციელოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ფ/პ გიორგი ხარშილაძეს შორის 2026 წლის 17 აპრილს გაფორმებული №01-08-16/08-2026-3 ხელშეკრულების შეწყვეტა 2026 წლის 1 აგვისტოდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**